ადამიანის უფლებები მშვიდობის მშენებლობისთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ადამიანის უფლებები მშვიდობის მშენებლობისთვის

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2021

HEINRICH BÖLL STIFTUNG
თბილისი
სამხრეთ კავკასია

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

სტატია მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „სამშვიდობო პოლიტიკის პოზიტიური ტრანსფორმაცია კვლევისა და ადვოკატირების გზით“. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს“.

ავტორი: თეონა ფირანიშვილი
ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

ჩვენს საზოგადოებასა და პოლიტიკურ ველში კონფლიქტის ტრანსფორმაცია ნაკლებად ცნობილი და მიღებული ცნებაა და ხშირად ამბივალენტურ განწყობებსაც იწვევს, რადგან შიშობენ, რომ თითქოს ის გამორიცხავს, აფერხებს ან დროში აჭიანურებს კონფლიქტების მოგვარებას. თუმცა, თუკი ამ კონცეფციის ირგვლივ განვითარებულ ლიტერატურას და მისი გამოყენების პრაქტიკას შევისწავლით, აღმოვაჩენთ, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია სხვა არაფერია, თუ არა მშვიდობის მშენებლობის პროცესი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას უფრო სისტემური და მდგრადი მეთოდებით ცდილობს. ეს პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მძიმე სოციალური კონფლიქტების გამოცდილების დროს, როდესაც მარტივი პასუხები, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტი, არ არსებობს, და როდესაც რადიკალურად ანტაგონისტური განწყობები კონფლიქტის მხარეებს შორის, განსაკუთრებით დიდხანს ნარჩუნდება. კონფლიქტის ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი პროცესია მაშინ, როდესაც კონფლიქტის მძიმე გამოცდილების პირობებში ადამიანური ურთიერთობები, პოლიტიკური დღის წესრიგი, ინსტიტუციები, უსაფრთხო გარემო და მშვიდობიანი თანაარსებობა თავიდან არის შესაქმნელი. ეს მრავალშრიანი პროცესია, რომელიც გულისხმობს კონფლიქტის მხარეებს შორის საერთო დღის წესრიგის შენებას, და უსაფრთხოების, კეთილდღეობის, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაზიარებულ ინტერესებს ეფუძნება. ის მხარეებს შორის წარმოდგენების და აღქმების სტრუქტურულ ცვლილებებს ისახავს მიზნად და საბოლოოდ, მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტის გრძელვადიანი გადაჭრის წინაპირობებს ქმნის. ამ პროცესში ადამიანის უფლებების როლი კრიტიკულია, განსაკუთრებით იმ ფონზე, თუ გავაანალიზებთ უფლებების დაცვის მჭიდრო კავშირს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებთან და განგრძობადი კონფლიქტის შედეგებთან.

საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის და მშვიდობის მშენებლობის გრძელვადიანი ხედვის და პოლიტიკის არარსებობას თან ერთვის რეგრესული მდგომარეობა უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონფლიქტებმა მკვეთრად საერთაშორისო განზომილება შეიძინა და არაღიარების პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოში მოექცა, მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებული ხედვები და სტრატეგიები თითქოს გაქრა დღის წესრიგიდან. ფორმალურ დონეზე შექმნილი ჩართულობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა არ აღმოჩნდა ის ქმედითი ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ნამდვილი მიზნების მიღწევა და კონფლიქტის მოგვარების პროცესში ადამიანურ და ჰუმანიტარულ განზომილებებს გააძლიერებდა. სამშვიდობო პოლიტიკაში ადამიანის უფლებების იდეის ქმედითად შემოტანა დღეს უკვე კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს არსებული მწვავე კრიზისების ფონზე, რის გამოც, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის მიმდებარედ, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და უფლებრივი მდგომარეობა მძიმდება. კონფლიქტის რეგიონებში არსებული ეს სიტუაცია უპირველეს ყოვლისა იმაზე მიგვითითებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის ემანსიპატორული იდეები მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტის პოზიტიური გარდაქმნების კატალიზატორი უნდა

გახდეს. ამ სტატიის მიზანია მოკლედ გააანალიზოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ადამიანის უფლებების როლი, მისი მრავალშრიანი მნიშვნელობა და პრაქტიკაში მისი გამოყენების სხვადასხვა სივრცე. ეს არის ერთგვარი მცდელობა, დავინახოთ ადამიანის უფლებების პოტენციალი კონფლიქტების მშვიდობიანი გარდაქმნის კონტექსტში.

რას გულისხმობს კონფლიქტის ტრანსფორმაცია?

კონფლიქტის ტრანსფორმაციის, როგორც შედარებით ახალი ცნების წარმოშობას მშვიდობისა და კონფლიქტების ლიტერატურასა და პრაქტიკაში, მკვლევრები სხვადასხვა ახსნას უძებნიან. მათი ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ „ტრანსფორმაციის“ კონცეფციის წარმოშობას ხელი შეუწყო „კონფლიქტის მოგვარების“ არასწორმა და ხშირად არაკეთილსინდისიერმა გაგებამ/გამოყენებამ, რომელიც ეფუძნება კონფლიქტის ერთი მხარის მოგებას/დამარცხებას, შურისძიებას, ეკონომიკურ სანქციებს, იძულებას, აღიარო და მიიღო სხვისი შეთავაზებული, ნაკარნახევი მოგვარების მეთოდი.[1] მეორე ჯგუფი ახალი ცნების წარმოშობას უკავშირებს პრაქტიკაში კონფლიქტის მოგვარების კომპლექსური პროცესის დავიწროებას მედიაციის და დავის მოგვარების სხვადასხვა მეთოდებით, რომელიც მეტწილად კონფლიქტის მოგვარების გზების მანიპულაციურ, ხელოვნურ ძებნას უფრო ჰგავს, რაც არ გულისხმობს წარმომშობი მიზეზების გააზრებას და ეტაპობრივ გარდაქმნას სამშვიდობო პროცესში.[2]

კიდევ ერთი მოსაზრებით, კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცნება მას მერე განვითარდა, რაც ცალკეულმა სოციალურმა კონფლიქტებმა განგრძობადი ხასიათი შეიძინა და ამ გამოწვევების წინაშე, მოგვარების მექანიზმები, მათ შორის, მედიაცია, ფასილიტაცია, მოლაპარაკებები თუ სხვა მეთოდები, არასაკმარისი აღმოჩნდა. ტრანსფორმაცია განსაკუთრებით რელევანტურად მიიჩნევა ასიმეტრიულ კონფლიქტებში, სადაც ძალთა უთანასწორობის და უსამართლო სოციალური ურთიერთობების გარდაქმნაა მთავარი ამოცანა.[3] ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გარდაქმნას სისტემა, სტრუქტურები და ურთიერთობები, რამაც კონფლიქტი წარმოშვა, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახადოს სამართლიანი და მდგრადი მშვიდობის მშენებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული წუხილები „კონფლიქტის მოგვარების“ ცნების დავიწროების და პრაქტიკაში არასწორი გამოყენების თვალსაზრისით, აღიარებულია, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციამ კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა.[4] ტრანსფორმაციის ცნების განმარტებით, ხანგრძლივი, დამანგრეველი კონფლიქტების მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ან მხარეებისთვის მისაღები მოგვარების მეთოდის პოვნით მოგვარება შეუძლებელია, არამედ ეს პროცესი უფრო შორს უნდა წავიდეს. ამის მაგალითად

[1] Mitchell, Christopher (2002) "Beyond Resolution: What Does Conflict Transformation Actually Transform?," Peace and Conflict Studies: Vol. 9 : No. 1 , Article 1. p. 2. Available at: https://nsuworks.nova.edu/pcs/vol9/iss1/1
[2] იქვე.
[3] Michelle Parlevliet, Human Rights and Conflict Transformation: Towards a More Integrated Approach, p. 379.
[4] Mitchell, Christopher (2002), pg. 3.

კრისტოფერ მიტჩელს ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპრისოს მაგალითი მოჰყავს. მისი თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მხარეები სასწაულებრივად შეთანხმდებიან და გადაწყვეტენ თითქმის 45-წლიან კონფლიქტს, კუნძულზე მაინც იარსებებს ორი ერთმანეთისგან სოციალურად გამიჯნული ბერძნული და თურქული თემი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მესამე - თურქეთიდან გადმოსახლებულ თემს, რომელთა შორისაც მომავალში კვლავ შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, თუ მათი ურთიერთობები მშვიდობის მშენებლობის მყარი და ხანგრძლივი პროცესით არ გარდაიქმნება.[5]

შესაბამისად, ტრანსფორმაციაში არ იგულისხმება მხოლოდ მოგვარება, არამედ გამკლავება კონფლიქტის წარმომშობ მიზეზებთან და ურთიერთობების გარდაქმნის და განვითარების ხანგრძლივი პროცესი. როგორც ლედერახი წერს, „კონფლიქტის ტრანსფორმაცია მიზნად ისახავს უპასუხოს ღრმა სოციალური კონფლიქტის დინებას, იმისათვის, რათა შექმნას კონსტრუქციული ცვლილებების პროცესი, <u>რაც ამცირებს ძალადობას, ზრდის სამართლიანობას</u> და <u>პასუხობს ადამიანურ ურთიერთობებში ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოწვევებს“.</u>[6] აქედან გამომდინარე, ტრანსფორმაცია კონფლიქტზე მყისიერი პასუხი კი არა, მშვიდობიანი ურთიერთობების მშენებლობის განგრძობადი პროცესია.

მშვიდობის მშენებლობის ადამიანური განზომილება

კონფლიქტების ტრანსფორმაციის ზემოთ ახსნილი განმარტება პირდაპირ კავშირშია მშვიდობის მშენებლობის და ადამიანური უსაფრთხოების ურთიერთმკვეთ იდეებთან და ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს ქმნის ამ პროცესის წარსამართავად. კონსტრუქტივიზმის თეორია აკრიტიკებს მშვიდობის მშენებლობის ტრადიციულ გაგებას, რომელიც მხოლოდ ძალაუფლების, თავდაცვის და სახელმწიფოზე კონცენტრირებული ხელშეუხებლობის იდეოლოგიას ეფუძნება.[7] ამის საპირწონედ, სახელმწიფოს უსაფრთხოება, მნიშვნელოვანია, გარდაიქმნას ადამიანურ უსაფრთხოებად მისი ყველაზე ფართო გაგებით, რაც, თავის მხრივ, მშვიდობის მშენებლობის შემადგენელი ნაწილია.

კერძოდ, ადამიანურ უსაფრთხოებას აქვს სამი განზომილება. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდების უსაფრთხოება და ფიზიკური ხელშეუხებლობა, მეორე მხრივ, ინსტიტუციური უსაფრთხოება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზე ადამიანის უფლებების და უსაფრთხოების გარანტირებას; და მესამე მხრივ, სტრუქტურულ-კულტურული უსაფრთხოება, რაც გულისხმობს ისეთი სოციალური და კულტურული გარანტიების შექმნას, რომლებიც საზოგადოებაში დაძლევს სიღარიბეს, შიმშილს,

[5] იქვე.
[6] John Lederach. “Little Book of Conflict Transformation: Clear Articulation of The Guiding Principles By A Pioneer In The Field (The Little Books of Justice and Peacebuilding Series)”, pg. 29.
[7] Earl Conteh-Morgan, Peacebuilding and Human Security: A Constructivist Perspective, International Journal of Peace Studies , Spring/Summer 2005, Vol. 10, No. 1 (Spring/Summer 2005), pp. 69-86.

უმუშევრობას და უთანასწორობას, რაც ხშირად კონფლიქტების წარმოშობის მძიმე თანმხლები შედეგია.

ამ სამივე განზომილების გათვალისწინებით, მშვიდობის მშენებლობა არ არის მხოლოდ ნეგატიური მშვიდობის შენარჩუნება, როდესაც მიღწეულია ცეცხლის შეწყვეტა, დემობილიზაცია, განიარაღება და ა.შ. მსგავსი მშვიდობა ხშირად არამდგრადია, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონფლიქტებს ღრმა სოციალური ფესვები გააჩნია. ნეგატიური მშვიდობის მიღწევა მეტწილად სახელმწიფოს უსაფრთხოებას და ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს, მაშინ როცა მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანია ადამიანური უსაფრთხოება. სახელმწიფოზე ფოკუსირებული მშვიდობის და უსაფრთხოების გაგება სწორედ იმ მხრივ არის პრობლემური, რომ მას აქვს საერთაშორისო მექანიზმების მხარდაჭერა, რომელსაც ადამიანურ დონეზე ადგილობრივად არ აქვს ლეგიტიმაცია და შიდა დისკუსიების და გააზრების შედეგად არ მიიღწევა.[8] ასეთი მშვიდობა კი, ცხადია, მყიფეა, რადგან უგულებელყოფს ხალხს, ადამიანებს, იმ სოციალურ და კულტურულ წუხილებს, რამაც კონფლიქტი წარმოშვა, და, შესაბამისად, მიმართული არ არის კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების გარდაქმნისკენ.

სწორედ ამგვარ გარდაქმნას გულისხმობს კონფლიქტების ტრანსფორმაცია, რადგან ის მიმართულია მდგრადი მშვიდობის მშენებლობისკენ, რომელიც ემანსიპატორულ იდეებს ეფუძნება. ამისათვის კი აუცილებელია, მშვიდობა და ადამიანური უსაფრთხოება, თავისი ყველა განზომილებით, გავიგოთ როგორც ურთიერთმკვეთი პროცესები.

უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში

ამ თვალსაზრისით ადამიანის უფლებებს მნიშვნელოვანი როლი უკავია მშვიდობის მშენებლობის პროცესში, თუმცა უფლებების ტრანსფორმაციული როლის შესახებ მოსაზრებები ასევე არაერთგვაროვანია და ის ადამიანის უფლებების არასწორხაზოვან და კომპლექსურ გაგებას საჭიროებს. ეს როლი მხოლოდ სამართლებრივი საშუალებებით (სასამართლო, ტრიბუნალები) უფლების დარღვევებზე პასუხისმგელობის დაკისრებაში, ან შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების შექმნაში არ გამოიხატება. ადამიანის უფლებებს უფრო მრავალმხრივი პოტენციალი აქვს ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარების საქმეში და შეუძლია მისი გარდაქმნა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების სამშვიდობო პროცესად.[9]

ადამიანის უფლებების ცნება კონფლიქტების მოგვარების საკითხს უფრო აქტიურად 1990-იანი წლებიდან უკავშირდება, როდესაც მსოფლიოს ყურადღება ქვეყნებს შიგნით წარმოებულ კონფლიქტებზე გადავიდა. ძალადობრივი კონფლიქტები ყოფილ იუგოსლავიაში (1992-1995) და გენოციდი რუანდაში (1994) აღმოჩნდა ის კატალიზატორები, რომელმაც ეს ორი სფერო, ამ

[8] იქვე.
[9] Michelle Parlevliet, The transformative potential of human rights in conflict resolution, pg. 16.

კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული დარღვევების მასშტაბებიდან გამომდინარე, მკაფიოდ დააკავშირა ერთმანეთთან.[10] შესაბამისად, „მშვიდობა“ უფრო მეტად დაუკავშირდა „სამართლიანობას“ და სამშვიდობო ხელშეკრულებებშიც უფრო ხშირად კეთდებოდა აქცენტი ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობაზე, კარგ მმართველობაზე, თანასწორობაზე და ა.შ. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ადამიანის უფლებები იქცა ცენტრალურ საკითხად, როდესაც პოსტკონფლიქტურ კონტექსტში სახელმწიფოებს ევალებოდათ შეექმნათ ისეთი მმართველობითი სისტემა, სადაც ადამიანის უფლებები დაცული იქნებოდა და წარსულის ძალადობებს შესაბამისი სამართლებრივი პასუხი გაეცემოდა.

ადამიანის უფლებებსა და კონფლიქტის მოგვარებას შორის ორმაგი კავშირია - უფლებების დარღვევები, ერთი მხრივ, გვევლინება კონფლიქტის წარმომშობ მიზეზად, ისევე როგორც შედეგად. კონფლიქტის მონაწილე მხარე, უფლებების დარღვევებს, შესაძლოა, ძალადობრივი კონფლიქტის გაგრძელების და წარმოების ერთ-ერთ მექანიზმად იყენებდეს. მეორე მხრივ, კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების მიზეზით, მაგალითად, როდესაც სახელმწიფო ავიწროებს და დისკრიმინაციულად ექცევა რომელიმე ჯგუფს მისი საზოგადოების შიგნით, რაც შეიძლება გამოიხატოს საზოგადოებრივი სიკეთეების უთანასწორო გადანაწილებაში, პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებ მონაწილეობაში, უსამართლო და დისკრიმინაციულ სამართლებრივ სისტემაში და სხვ. ადამიანის უფლებების დარღვევებზე, როგორც კონფლიქტის შედეგებზე, საუბრისას, მოგვარების პროცესში მთავარი ამოცანა ძალადობის შეწყვეტა, ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობის დაკისრება და შემდგომი მონიტორინგი, ჰუმანიტარული მხარდაჭერა და მშვიდობის მშენებლობის პროცესია.[11] ამ შემთხვევას ლიტერატურაში ნეგატიური მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესს უწოდებენ, რომელიც მხოლოდ ძალადობის შეწყვეტისკენ არის მიმართული. მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევები გვევლინება კონფლიქტის გამომწვევად, აქ მხოლოდ ნეგატიური მშვიდობის უზრუნველყოფა არ არის საკმარისი და საჭიროა პოზიტიური ზომების მიღება, რაც გულისხმობს პოლიტიკური თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის, სამართლიანი და ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კონსტრუქციული და მშვიდობიანი ურთიერთობების მშენებლობას.[12]

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის უფლებების დარღვევები კონფლიქტის შედეგი ან მისი გამომწვევი მიზეზია, მათი დაცვა გარდაუვლად უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარების შემადგენელი ნაწილიც, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოაზრებულია უფლებების გაგების მრავალგანზომილებიანი შინაარსი, რაც სცდება მის მხოლოდ პოზიტივისტურ-სამართლებრივ წაკითხვას. ადამიანის უფლებები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათმა დარღვევამ წარმოშვა

[10] იქვე; 17.
[11] იქვე; 20.
[12] Michelle Parlevliet, “Bridging the Divide: Exploring the Relationship between Human Rights and Conflict Management,” Track Two 11, no. 1 (2002): 8–43.

კონფლიქტი. მეორე მხრივ, სისტემური მიდგომა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე დადებითად აისახება, რაც მონიტორინგის და სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების შექმნის მიღმა, გულისხმობს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმირების პროცესს. დამატებით, ადამიანის უფლებებს მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეთ კონფლიქტის წარმომშობი მიზეზების და მათი მოგვარების კრიტიკული გააზრების პროცესში. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან მისადაგება ის დამოუკიდებელი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მხარეებს, კონტექსტისგან დამოუკიდებლად შექმნან ობიექტური კრიტერიუმები და მეტი ვალიდურობა შესძინონ მშვიდობის მშენებლობის პროცესს.

მიშელ პარლევლიეტი, კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში ადამიანის უფლებების როლს შემდეგი ოთხი განზომილებით ხედავს, რაც ზოგადად სამართლიანი და მდგრადი მშვიდობის მშენებლობას უწყობს ხელს.[13]

- **ადამიანის უფლებები, როგორც წესები,** განსაზღვრავენ დაცვის სტანდარტებს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე. ისინი ადგენენ ერთგვარ პარამეტრებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების განხორციელება ყოველ კონკრეტულ კონტექსტში ეროვნულ დონეზე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, ბაზისურ დონეზე უფლებები წარმოადგენს საერთაშორისოდ შეთანხმებულ ღირებულებებს და პრინციპებს, რომელიც, ერთი მხრივ, ავალდებულებს სახელმწიფოს თავი შეიკავოს მათი დარღვევისგან და, მეორე მხრივ, მიიღოს პოზიტიური ზომები, შექმნას შესაბამისი ინსტიტუციები მათ დასაცავად. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესში ადამიანის უფლებების ამ პოზიტივისტურ-სამართლებრივ გაგებას ერთი ნაკლი აქვს - გულისხმობს უფლებების სახელმწიფოზე მორგებულ გააზრებას (state-centric approach), რაც არასახელმწიფოებრივ აქტორებს გამორიცხავს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების სივრციდან. თუმცა დღეს უკვე ეს მოსაზრებაც გაკრიტიკებულია და არასახელმწიფოებრივი აქტორების პასუხისმგებლობის და ვალდებულებების შესახებ ადამიანის უფლებათა სამართალში, ისევე როგორც ომის სამართალში, აქტიურად მიდის მსჯელობა.[14]
- **ადამიანის უფლებები, როგორც სტრუქტურა და ინსტიტუტები** კონფლიქტის წარმომშობ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას და შეისწავლის იმ სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავს ძალაუფლების, რესურსების, იდენტობის და უსაფრთხოების საკითხებს. ადამიანის უფლებების ეს განზომილება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში,

[13] Michelle Parlevliet, Rethinking Conflict Transformation from a Human Rights Perspective, 2010, in: Véronique Dudouet & Beatrix Schmelzle (eds.). Human Rights and Conflict Transformation: The Challenges of Just Peace. (Berghof Handbook Dialogue No 9.) Berlin: Berhof Conflict Research, 15-46.

[14] Anumeha Mishra, State-Centric Approach to Human Rights: Exploring Human Obligations, 2019 REV. Quebecoise dE DROIT INT'l 49 (2019); Christina Lafont, Accountability and global governance: challenging the state-centric conception of human rights, Ethics & Global Politics, Vol. 3, No. 3, 2010, pg. 198; Charles Beitz, The Idea of Human Rights, 2009, Oxford Scholarship.

უბიძგებს მხარეებს გასცდნენ უფლებების გაგებას კონვენციებს მიღმა და ლეგიტიმური, დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზეც იზრუნონ, რაც შექმნის უფლებების განხორციელების საშუალებებს.

- **ადამიანის უფლებები, როგორც ურთიერთობები** - ეს სწორედ ის მიმართულებაა, რომელიც აღიარებს უფლებების როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ გაგებას. ვერტიკალური გაგებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ადამიანის უფლებების დაცვა და მოქალაქეებისთვის ანგარიშვალდებულებიანი პლატფორმების შეთავაზება. კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებისთვის, ეს გულისხმობს იმას, რომ სტრუქტურულ წუხილებს, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობაზე, პასუხი გაეცემა. ჰორიზონტალური გაგებით კი, ადამიანებსაც აქვთ თავისი პასუხისმგებლობები, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან და როგორ ფუნქციონირებს საზოგადოება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები არსებობს სოციალურ კონტექსტში და „ერთმანეთის აღიარება“ არის ადამიანის უფლებების მთავარი ღირებულება.[15]
- **ადამიანის უფლებები, როგორც პროცესი** - ამ განზომილების მიხედვით, მშვიდობის მდგრადობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, თუ როგორ მიიღწევა მშვიდობა. თუ კონფლიქტის რომელიმე მხარეს მიაჩნია, რომ მშვიდობის მშენებლობის პროცესი ნაკლოვანი, არაგამჭვირვალე და არამონაწილეობითი იყო, მისი ლეგიტიმურობა და მდგრადობა ეჭვქვეშ დგება, რაც ასევე ჩრდილს აყენებს ადამიანის უფლებების დაცვას.

ადამიანის უფლებების ამგვარი მრავალგანზომილებიანი გაგება კონფლიქტის ტრანსფორმაციის ზემოთ აღწერილ სოციალურ-პოლიტიკურ ბუნებას პასუხობს და სამართლიანი მშვიდობის მშენებლობის და ადამიანის უფლებათა კულტურის მშენებლობის პროცესს ემსახურება. მეტიც, ეს ხელს უწყობს ადამიანის უფლებების ნორმების, ღირებულებების და პრინციპების ინტერნალიზებას საზოგადოებრივ განწყობებში, ურთიერთობებსა და ქცევებში.

კონფლიქტის ტრანსფორმაციის და ამ პროცესში ადამიანის უფლებების მრავალგანზომილებიანი როლი კვიპროსის რესპუბლიკაში არსებულ მრავალწლიან კონფლიქტზე დაკვირვების შედეგად უფრო თვალსაჩინო ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონფლიქტს მძიმე ძალადობრივი წარსული და დღემდე პოლიტიკურად რადიკალიზებული ორი მხარე აქვს, სადაც ასევე აქტიურად არის ჩართული თურქეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენები, მაინც მოხერხდა მისი გარდაქმნა, და მშვიდობის მშენებლობის ხანგრძლივი გამოცდილების კვალდაკვალ ამ კონფლიქტის ე.წ. ადამიანური/ჰუმანიტარული განზომილება მეტწილად მოგვარებულია. ადამიანურ განზომილებაში, ამ შემთხვევაში, იგულისხმოება ის ფაქტი, რომ დღეს კონფლიქტის მხარეებს შორის, როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე

[15] Douzinas, Costas 2000. The End of Human Rights. Critical Legal Thought at the Turn of the Century. Oxford: Hart Publishing.

ურთიერთობები აღდგენილია - რეგულარულად მიმდინარეობს პირდაპირი შეხვედრები ჩრდ. კვიპროსის და კვიპროსის რესპუბლიკის პოლიტიკურ ლიდერებს შორის, თურქ და ბერძენ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დიალოგის მიზნით, შექმნილია არაერთი პლატფორმა, მათ შორის ისეთი პლატფორმებიც, რომლებიც მიზნად ისახავს არაფორმალურად დაეხმაროს ფორმალური პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესს;[16] აღდგენილია ყოველდღიური ურთიერთობები და მიმოსვლა ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსს შორის, მოქმედებს 7 გადასასვლელი პუნქტი მთელი კუნძულის მასშტაბით, რაც, გარდა ყოველდღიური მიმოსვლისა, აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.[17] გადაადგილების თავისუფლება, თავის მხრივ, ხელს უწყობს ხალხთა შორის კომუნიკაციას, კულტურულ და საქმიან კავშირებს. მხარეებს შორის შექმნილია ყოველდღიური მნიშვნელობის საკითხებზე თანამშრომლობის ფორმალური და პირდაპირი დიალოგის ფორმატები ბიკომუნალური კომიტეტების სახით, რომლის ფასილიტაციასაც გაეროს სამშვიდობო მისია ეწევა.[18] 11 თემატური კომიტეტის ქვეშ, კონფლიქტის მხარეები რეგულარულად მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის გადასასვლელი პუნქტები და გადაადგილების თავისუფლება, ჯანდაცვა, განათლება, გარემოს დაცვა, კომერციული სფერო, სისხლისსამართლებრივი საკითხები, ჰუმანიტარული დახმარება და სხვ.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის ის მექანიზმი, რომელმაც კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ერთი მხრივ, სასამართლოს გზით არის აღიარებული, რომ განგრძობადი კონფლიქტის პირობებში ადამიანის უფლებათა დაცვის ვაკუუმი არ უნდა შეიქმნას და არა მხოლოდ ეფექტიანი კონტროლის განმახორციელებელ მხარეს - თურქეთს ეკისრება ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები, არამედ პოზიტიური ვალდებულებები აქვს კვიპროსის რესპუბლიკას, მიიღოს სათანადო ზომები არსებული სამართლებრივი ვაკუუმის აღმოსაფხვრელად, რაც, მათ შორის, ჩრდ. კვიპროსის არაღიარებულ რეჟიმთან თანამშრომლობას გულისხმობს.[19]

საკუთრების უფლების განგრძობადი დარღვევა, რომელიც ამ კონფლიქტში ერთ-ერთი ყველაზე მეტად პოლიტიზებული და მწვავე უფლებრივი საკითხი იყო, სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებების საშუალებით დარეგულირდა და შეიქმნა შესაბამისი ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო ადგილობრივ დონეზე. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ, მას მერე, რაც საკუთრების უფლების განგრძობადი დარღვევის

[16] Cyprus Dialogue Forum: https://cydialogue.org/.
[17] Council Regulation (EC) No 866/2004 of 29 April 2004, Preamble, paras 4-5. US State Department Report on Human Rights Situation in Cyprus, 2016.
[18] იხ: http://www.uncyprustalks.org/; See Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights on the question of human rights in Cyprus- 2013, 1 February, A/HRC/22/18, para 53. Report of UN OHCHR, 22 January 2014, A/HRC/25/21, para 3, 39. A/HRC/31/21, 1 February 2016, para 40-41, 58.
[19] Güzelyurtlu and others v. Cyprus and Turkey, ECHR; Loizidou v. Turkey, EHCR, Merits, App. No. 40/1993/435/514 (1996),

ნაწილში თურქეთის რესპუბლიკის პასუხისმგებლობა დაადგინა,[20] კიდევ ერთი საპილოტე გადაწყვეტილება მიიღო, სადაც ის დაავალდებულა, შეექმნა ადგილობრივ დონეზე საკუთრების უფლების საკითხის განმხილველი მექანიზმი, როგორც უფლების დარღვევის ფაქტებზე რეაგირების სამართლებრივი საშუალება.[21] შესაბამისად, ჩრდ. კვიპროსში შეიქმნა უძრავი ქონების კომისია, რომელიც ჩრდ. კვიპროსში ბერძნების დაკარგული უძრავი ქონების კომპენსირების მიზნით, საჩივრებს განიხილავს.[22]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მცდელობა, კონფლიქტის ყველაზე მეტად პოლიტიზებული და რადიკალიზებული საკითხი უფლებრივ ჩარჩოებში მოექცია, იმ საფუძვლით გააკრიტიკეს, რომ მან ამ გზით ნეგატიურად იმოქმედა სამშვიდობო პროცესზე და მოლაპარაკებების ფარგლებში ნამდვილი კომპრომისისთვის ნაკლები სივრცე დატოვა.[23] ლოიზიდუს საქმეში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოლაპარაკებების დროს დანახული უნდა იყოს როგორც ბერძენი კვიპროსელების მოთხოვნის მხარდაჭერა, რომ მათ ჰქონდათ უფლება დაბრუნებულიყვნენ და უძრავ ქონებაზე აღედგინათ საკუთრების უფლება. ამ საქმით სასამართლომ პრაქტიკულად დაადგინა, რომ თვითგამოცხადებული TRNC ვერ იქნებოდა ბერძენი კვიპროსელების ქონებაზე ლეგიტიმური უფლების მქონე სუბიექტი. შესაბამისად, დე-ფაქტო რეჟიმის უარი, თავისუფლად ესარგებლათ საკუთარი ქონებით, სასამართლომ საკუთრების უფლების განგრძობად დარღვევად მიიჩნია.[24] თუმცა, მაშინ როცა XENIDES-ARESTIS v. TURKEY საქმეში, განმცხადებლები სასამართლოს წინაშე აყენებდნენ მოთხოვნას „საკუთრების უფლების დაკარგვის გამო“, სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხო მხოლოდ კომპენსაციას და არა საკუთრების უფლების რეალურ აღდგენას, შესაბამისად, სასამართლოს არასოდეს გაუზიარებია ბერძენი კვიპროსელების ის მაქსიმალისტური მოთხოვნა, რომელიც უკავშირდებოდა დაბრუნებას და საკუთრების უფლების აღდგენას.[25] ამ თვალსაზრისით არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოს შეეძლო უფლების უფრო ფართო აღიარებით (და არა კომპენსაციის საკითხამდე დავიწროებით), მხარეებისთვის მოლაპარაკებების ფარგლებში მეტი ლავირების საშუალება დაეტოვებინა.[26] ევროპული სასამართლოს შემდგომმა გადაწყვეტილებებმაც, TRNC-ის ფარგლებში უძრავი ქონების კომისიის შექმნასთან

[20] Loizidou v. Turkey, EHCR, Merits, App. No. 40/1993/435/514 (1996); Cyprus v. Turkey, ECHR, Merits App. no. 25781/94 (2001).
[21] XENIDES-ARESTIS v. TURKEY, ECHR, Merits, Final Judgment, 22.03.2006, Application no. 46347/99. para 38-42.
[22] JOANNOU v. TURKEY, Application no. 53240/14, Merits, 12 December 2017 (Final on 12.03.2018); Eleni Meleagrou and Others v. Turkey (application No. 14434/09), decision of 2 April 2013, para. 18.
[23] Rhodri C. Williams and Ayla Gürel, The European Court of Human Rights and Cyprus Peace Issue: Charting a Way Forward, PCC Paper 1/2011, pg. 1
[24] ECtHR, Loizidou (Merits), paras. 44-46.
[25] Rhodri C. Williams and Ayla Gürel, The European Court of Human Rights and Cyprus Peace Issue: Charting a Way Forward, PCC Paper 1/2011, pg. 4. ამასთან დაკავშირებით ბერძენი კვიპროსელების პოზიციით, კომპენსაცია მხოლოდ მაშინ იქნებოდა მისაღები, როცა ქონების დაბრუნება მისი ფიზიკური განადგურების გამო შეუძლებელი იქნებოდა.
[26] Rhodri C. Williams and Ayla Gürel, The European Court of Human Rights and Cyprus Peace Issue: Charting a Way Forward, PCC Paper 1/2011, pg. 7-9.

დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ მხოლოდ კომპენსაციის საკითხებს განიხილავს, ცალკე კრიტიკა დაიმსახურა, რადგან ამ გზით ევროპულმა სასამართლომ თითქოს აღიარა დე-ფაქტო რეჟიმის ქვეშ სამართლებრივი მექანიზმის ლეგიტიმურობა. თუმცა, ამ პოლიტიკური განზომილების მიუხედავად, ეს მექანიზმი ცალკეული პირებისთვის, ვისთვისაც რამდენიმეწლიანი მოლოდინის შემდეგ ქონებრივი ინტერესების გადაწყვეტა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მას, მთლიანობაში, დაბრუნების საკითხი სამართლებრივად არ გაუუქმებია.

ეს პროცესი მოწმობს, რომ ადამიანის უფლებებს კონფლიქტების ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ჰქონდეთ და ამგვარ სიტუაციებში მათ გამოყენებას სამშვიდობო პროცესების სტიმულირებისთვის, სწორი დაგეგმვა და კონფლიქტის კონტექსტის გათვალისწინება სჭირდება.

ცხადია, ჩრდილოეთ კვიპროსში კონფლიქტის ამგვარი ტრანსფორმაციის პირობებში უნდა აღინიშნოს გავლენიანი საერთაშორისო აქტორების როლი, ვინაიდან, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 1975 წლის ძალადობრივი გამოცდილების შემდეგ მსგავსი შემთხვევა კონფლიქტის მხარეებს შორის აღარ განმეორებულა, რაც, კონფლიქტის წარმოშობიდან დღემდე, გაეროს მუდმივი სამშვიდობო მისიის დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ე.წ. ბუფერულ ზონას ქმნის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამასთანავე, ტრანსფორმაციული პროცესების მთელი კასკადი, მათ შორის, მიმოსვლის აღდგენის და კონფლიქტის მხარეებს შორის უფლებრივი და ჰუმანიტარული საკითხების მოგვარების პროცესი, ევროკავშირის აქტიური ჩართულობის შედეგად განხორციელდა. პირველი გამშვები პუნქტები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის 2003 წლის 23 აპრილს გაიხსნა, რაც ის პერიოდია, როდესაც კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანის პროცესი აქტიურად განიხილება და ევროკავშირმა მიიღო ე.წ. „მწვანე ხაზის რეგულაცია“ მიმოსვლის აღსადგენად. აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანის საქმე, სადაც მწვანე ხაზის გადაკვეთის შეზღუდვა მიმოსვლის თავისუფლებაში, სასამართლომ უხეშ ჩარევად მიიჩნია.[27]

კვიპროსის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესი, ცხადია, უფრო სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, რადგან ის არ შემოიფარგლება მხოლოდ უფლებრივი განზომილებით და მას ღრმა ისტორიული, პოლიტიკური და სოციალური მიმართულებები აქვს ამ პროცესებში, სადაც არაერთი აქტორი თამაშობდა თავის როლს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. თუმცა ზემოთ განხილული მაგალითები ცხადყოფს, თუ როგორი მრავალმხრივი შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების გამოყენება მშვიდობის მშენებლობის პროცესში. მათი როლი სცდება უბრალოდ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მასშტაბს, თუმცა ამასაც მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს ლოკალურ დონეზე ინსტიტუციების შესაქმნელად და ურთიერთობების ტრანსფორმაციისთვის. ადამიანის უფლებების მრავალმხრივ გამოყენებას ამ შემთხვევაში ჰქონდა როგორც ძალადობის შემცირების და ნეგატიური მშვიდობის დამყარების მიზანი, მან

[27] DJAVIT AN v. TURKEY, ECHR, Merits, Application no. 20652/92, 20 February, 2003.

ასევე გააუმჯობესა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და ურთიერთობები, მოაგვარა კონფლიქტის ჰუმანიტარული მხარე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ხანგრძლივი პროცესი და არ ქმნის იმის გარანტიებს, რომ კონფლიქტი დროულად ან საერთოდ მოგვარდება, მისი განგრძობადობის პირობებში უფლებრივი და ჰუმანიტარული საკითხების მოწესრიგება კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტები, მოგვარების ნაცვლად, რეგრესირდება, ძლიერდება ჩაგვრის და უსამართლობის განცდა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა დარღვევები ცხელი კონფლიქტის დასრულების შემდეგაც გრძელდება. კონფლიქტის ხანგრძლივი მოუგვარებლობის პირობებში, სადაც ადამიანებს, ათეულობით წლის განმავლობაში, არაღიარების პოლიტიკური და სამართლებრივი გავლენების ქვეშ უწევთ ცხოვრების გაგრძელება, ადამიანური კეთილდღეობის, უსაფრთხოების, უფლებების დაცვის და ძირითადი ჰუმანიტარული ინტერესების დაკმაყოფილების ინტერესი, უპირატესია. სწორედ ამიტომ, მშვიდობის მშენებლობის პროცესში ადამიანური უსაფრთხოების მიღწევა ინდივიდუალურ, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ-კულტურულ დონეებზე, კრიტიკულ დანიშნულებას იძენს. ადამიანის უფლებების დაცვის, კონფლიქტის ტრანსფორმაციის და მშვიდობის მშენებლობის მიზნები და იდეები სწორედ აქ იკვეთებიან ერთმანეთთან.